ევროკავშირი
საქართველოსთვის

UNDP
Empowered lives
Resilient nations.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი

შუალედური ანგარიში

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

საქართველოს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

რადიოების მედიამონიტორინგის

შუალედური ანგარიში

18 ივნისი - 15 ოქტომბერი

INTERNEWS
GEORGIA

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია ინტერნიუსი-საქართველოს მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ინტერნიუსი-საქართველო და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

თბილისი, 2018

პროექტის შესახებ

„ინტერნიუსი - საქართველო“, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის - „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ - ფარგლებში, რადიომაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს აკვირდება. მონიტორინგი 2018 წლის 18 ივნისს დაიწყო და ნოემბერში დასრულდება.

დაკვირვება ხორციელდება 11 რადიომაუწყებლის საღამოს საინფორმაციო გამოშვებაზე: „რადიო 1“ (საზოგადოებრივი მაუწყებელი), „აჭარა“ (აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ქ. ბათუმი), „თავისუფლება”, „იმედი“, „მაესტრო“, „პალიტრა“, „პირველი რადიო“, „ფორტუნა“, „აფხაზეთის ხმა“, „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი), „ჰერეთი“ (ქ. თბილისი/ლაგოდეხი).

მონიტორინგის მეთოდოლოგია

რადიოარხების მთავარი საინფორმაციო გამოშვებების საარჩევნო თემების მონიტორინგის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტებისთვის საეთერო დროის გამოყოფა და მათი საქმიანობის გაშუქება.

მონიტორინგი შედგება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ეტაპებისგან. რაოდენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორიცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რაოდენობრივად გაზომვა რთულია; ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე, პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში არიან ჩართულნი. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატები, მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის) და პრეზიდენტი. პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის დროის

ცალკე დათვლა მონიტორინგის დასაწყისიდანვე დაიწყო, მას შემდეგ რაც ესა თუ ის პარტია ან ჯგუფი მას კანდიდატად წარადგენდა.

18 ივნისი - 15 ოქტომბრის პერიოდში რადიოარხების მონიტორინგმა შემდეგი ძირითადი მიგნებები გამოავლინა:

- ყველაზე მეტი დრო მთავრობას, „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ „ევროპულ საქართველოს“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ დაეთმოთ;
- საპარლამენტო პარტიების მხარდაჭერილი პრეზიდენტობის კანდიდატების გარდა სხვა კანდიდატები რადიომაუწყებლების ყურადღებას ნაკლებად იქცევდნენ. შესაბამისად, ყველაზე მეტად გაშუქდნენ: სალომე ზურაბიშვილი, დავით ბაქრაძე და გრიგოლ ვაშაძე;
- რადიომაუწყებლების ეთერში თემების აქტუალურობას კვლავაც პოლიტიკოსთა განცხადებები განსაზღვრავდნენ და არა ჟურნალისტების მოპოვებული ინფორმაცია;
- შეინიშნებოდა ინფორმაციის წყაროთა და კრიტიკული კითხვების ნაკლებობა - ჟურნალისტები ფაქტების გადამოწმებას ნაკლებად ცდილობდნენ. ახალი ამბების უმეტეს ნაწილს კვლავაც პოლიტიკოსთა საჯარო განცხადებების ციტირება შეადგენდა;
- რადიოარხებს შორის კონკურენციის ნაკლებობაა, ისინი ექსკლუზიურ კონტენტს ვერ ქმნიან, თუმცა ზოგ შემთხვევაში სხვადასხვა მაუწყებელზე მოვლენები სხვადასხვა კუთხით შუქდებოდა: ისმოდა ხელისუფლების კრიტიკაც და მათაც ეძლეოდათ საკუთარ მიღწევებზე საუბრის საშუალება. მაგრამ მსმენელს დაბალანსებული და მრავალმხრივი ინფორმაციის მისაღებად მაინც სხვადასხვა რადიომაუწყებლის მოსმენა მოუწევს;
- საზოგადოებრივი მაუწყებლები მათ მიმართ არსებულ მოლოდინებს ვერ ამართლებენ: ჟურნალისტები ექსკლუზიურ სიუჟეტებს არ ამზადებდნენ, კონტენტი მშრალი და ზედაპირული იყო. ზოგ შემთხვევებში ეთერში გასული ინფორმაცია აჩედა ეჭვს, რომ ჟურნალისტები ხელისუფლების კრიტიკას ერიდებოდნენ;

- სოციალურ თემებს, რეგიონების და უმცირესობების პრობლემებს კვლავაც ნაკლები ყურადღება ექცეოდა;
- ბოლო პერიოდში სახელისუფლებო გუნდის გაშუქებაზე მკვეთრად ნეგატიურად აისახა შვილმოკლული მამების პროტესტი, საგამოძიებო კომისიის მუშაობა და შესაძლო ელიტურ კორუფციასთან დაკავშირებით გავრცელებული ჩანაწერები;
- ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტები უხეშად არ ირღვეოდა: ხმით/მუსიკით მანიპულაციის, სიძულვილის ენის შემთხვევები არ გამოვლენილა.

რადიო 1

საზოგადოებრივი მაუწყებელი ახალი ამბების ხარისხის გაუმჯობესებას კვლავაც ვერ ახერხებს. წინა წლების მსგავსად, მასალები მშრალი და ზედაპირულია. მოლოდინი, რომ ჟურნალისტები სოციალურ თემატიკას ან უმცირესობების პრობლემებს სხვა რადიომაუწყებლებზე მეტად მიაქცევდნენ ყურადღებას, არ გამართლდა. ამასთან, ახალი ამბები ზოგ შემთხვევებში აჩენდა ეჭვს, რომ რადიომაუწყებელი ხელისუფლების მწვავე კრიტიკას ერიდეოდა.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 6 საათი და 48 წუთი დაეთმოთ, საიდანაც დროის 35% მთავრობაზე, 22% „ქართულ ოცნებაზე“, ხოლო 7% პრეზიდენტზე გადანაწილდა. ჟურნალისტები ხელისუფლების აქტივობების მიმართ მწვავე კითხვებს არ სვამდნენ. იმ საკითხებზეც კი, რომლებიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში ხელისუფლების კრიტიკის საგანი ხდებოდა, „რადიო 1“ აქცენტს ნაკლებად სვამდა. თემები მიკერძოებულად არ შუქდებოდა, სიუჟეტებში ორივე მხარის მოსაზრებები ისმოდა, მაგრამ ფოკუსი მაინც ხელისუფლების პოზიციაზე კეთდებოდა, მათი კომენტარები უფრო ვრცელი იყო, ხოლო ოპოზიციის კრიტიკა ლაკონური და ზოგჯერ შერბილებული. მაგალითად: მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება, ლარის კურსის ვარდნა, შესაძლო ელიტური კორუფცია, დაზიანებული ყურძნის ჩაბარება, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის საგამოძიებო კომისიის სხდომა, შვილმოკლული მამების პროტესტი, ფარული ჩანაწერების თემა - ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების პოზიციიდან შუქდებოდა. შედეგად, რადიომაუწყებელს მთავრობის მაღალი (28%) დადებითი გაშუქების მაჩვენებელი დაუგროვდა.

„რადიო 1“ სხვა რადიომაუწყებლებთან შედარებით არც წინასაარჩევნო კამპანიის აქტიურად და სიღრმისეულად გაშუქებით გამოირჩეოდა. წუთზე მეტი დროით რვა

პრეზიდენტობის კანდიდატი გააშუქეს. მათგან ყველაზე მეტი დრო სალომე ზურაბიშვილს, დავით ბაქრაძესა და გრიგოლ ვაშაძეს დაეთმოთ. წინა წლების მსგავსად, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გაკეთებული განცხადებების ციტირებით შემოიფარგლებოდა.





რადიო „მაესტრო“

რადიო „მაესტრო“ კვლავაც ყველაზე ხანგრძლივ საინფორმაციო გამოშვებას ამზადებდა, თუმცა ეთერში გასული ინფორმაცია სხვა რადიომაუწყებლების ახალი ამბებისგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა. ხშირად ისმოდა ხელისუფლების კრიტიკა, რაც ოპოზიციის განცხადებებს უკავშირდებოდა და არა მოვლენების სიღრმისეულ ან ანალიტიკურ გაშუქებას. ჟურნალისტები ახალი თემების მოძიებას, განცხადებების გადამოწმებასა და მასალების გამრავალფეროვნებას არ ცდილობდნენ. მსმენელამდე ვერც რეგიონების თუ უმცირესობების პრობლემები აღწევდა.

მონიტორინგის სუბიექტებს 27 საათზე მეტი დრო დაეთმოთ. აქედან დროის ნახევარზე მეტი „ქართული ოცნება“ და მთავრობა შუქდებოდა. ასევე, აქტიურად შუქდებოდა ოპოზიციური პარტიები და მათ პირდაპირი საუბრისთვისაც, დაახლოებით, დროის 50% ეთმობოდათ. ოპოზიცია საკუთარ საარჩევნო კამპანიას, ძირითადად, ხელისუფლების კრიტიკაზე აგებდა, რის გამოც „ქართულ ოცნებას“ მკვეთრად უარყოფითი ტონი დაუგროვდა (45%). მსმენელს ხელისუფლების პოზიციების მოსმენაც შეეძლო, თუმცა ჟურნალისტები ურთიერთგამომრიცხავი განცხადებების გადამოწმებას და სიმართლის დადგენას ნაკლებად ცდილობდნენ. ვრცელი ქრონომეტრაჟის მიუხედავად, ანალიტიკური

მასალები არ მზადდებოდა და ახალი ამბები პოლიტიკოსთა ზოგად განცხადებებს ეფუძნებოდა.

წინასაარჩევნო კამპანიაც ზედაპირულად გაშუქდა. კანდიდატთა საარჩევნო პროგრამების მიმართ კითხვები არ დასმულა. მხოლოდ პრეზიდენტობის კანდიდატების ზოგადი განცხადებების ამომრჩევლამდე მიტანა კი მათ ინფორმირებულ არჩევანს ვერ უზრუნველყოფს.

რადიო „მაესტროს“ ეთერიდან ისმოდა კრიტიკული შეფასებები და ხელისუფლებას უწევდა ოპონენტთა მწვავე კითხვებზე პასუხის გაცემა. თუმცა, რადიომაუწყებლების მუშაობის ხარისხი უფრო გაიზრდებოდა, ჟურნალისტებს მეტი პროაქტიულობა რომ გამოეჩინათ და პოლიტიკოსთა დღის წესრიგში მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი თემები თავად გაეხადათ აქტუალური.





რადიო „ფორტუნა“

„ფორტუნას“ საინფორმაციო გამოშვებების ფორმატი წლების განმავლობაში უცვლელია: 3-4 წუთიან გადაცემაში წამყვანი დღის რამდენიმე ახალი ამბის შესახებ ზოგად ინფორმაციას გადმოსცემდა. ასეთ მცირე დროში საკითხის სხვადასხვა კუთხით გაშუქება ვერ ხერხდებოდა, ამიტომ რადიომაუწყებელი ამომრჩევლის ინფორმირებულ არჩევანს ხელს ნაკლებად შეუწყობდა.

მონიტორინგის სუბიექტებს სულ საათი და 40 წუთი დაეთმოთ. ყველაზე ხშირად საუბარი მთავრობას (34%), „ქართულ ოცნებასა“ (24%) და ადგილობრივ მთავრობას (11%) შეეხებოდა. ჟურნალისტის მცდელობა, რომ რესპონდენტის კომენტარები გადაემოწმებინა არ ჩანდა. ამასთან, ცალკეული ახალი ამბები დაუბალანსებელი იყო, თუმცა მთლიანობაში რადიო „ფორტუნა“ არც ერთი პოლიტიკური გუნდის მიმართ ტენდენციურ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდა.

წინასაარჩევნო კამპანია თითქმის არ გაშუქებულა. წუთზე მეტი დრო მხოლოდ სალომე ზურაბიშვილს და დავით ბაქრაძეს დაუგროვდათ. საინფორმაციო სააგენტოს სტილში მომზადებული ახალი ამბები ერთფეროვანი იყო და სხვა რადიომაუწყებლების ეთერში გასული ინფორმაციასთან შედარებით ახალს არაფერს ამბობდა.





„პირველი რადიო“

„პირველი რადიო“ პოლიტიკურ პროცესებს აქტიურად აშუქებდა. თუმცა, თემატიკა სხვა რადიომაუწყებლების მსგავსი იყო, ჟურნალისტები ექსკლუზიური მასალების მოპოვებით ნაკლებად იყვნენ დაკავებულები. გასულ წლების მსგავსად, არხის ეთერით ოპოზიციის შეფასებები აქტიურად შუქდებოდა და ხელისუფლების მიმართ მწვავე კრიტიკა ისმოდა.

მონიტორინგის სუბიექტებს 19 საათი და 22 წუთი დაეთმოთ, საიდანაც ნახევარზე მეტი დრო „ქართულ ოცნებასა“ და მთავრობაზე მოდიოდა. წუთზე მეტი დროით მონიტორინგის 21 სუბიექტი გააშუქეს. დრო ასევე ეთმობოდა არასამთავრობო სექტორს, თუმცა ეთერში უმეტესად ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი რესპონდენტების ხმა ისმოდა. შედეგად, მმართველ გუნდს დროის მნიშვნელოვანი ნაწილი უარყოფით ტონში დაუგროვდა.

წინასაარჩევნო კამპანია მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გაკეთებული განცხადებების მშრალი ციტირებით შემოიფარგლებოდა: კანდიდატებს საშუალება ჰქონდათ საკუთარ გეგმებზე ესაუბრათ და თავი დადებითად წარმოეჩინათ, მაგრამ ჟურნალისტების კრიტიკულ კითხვებზე პასუხის გაცემა არ უხდებოდათ. ერთადერთი გამონაკლისი სალომე ზურაბიშვილი იყო, რომელიც ოპონენტების ხშირი კრიტიკის ობიექტი გახლდათ და დადებითზე ორჯერ მეტი უარყოფითი ტონი დაუგროვდა.

მედიის თავისუფლებისთვის კარგია, რომ რადიომაუწყებელი ხელისუფლების კრიტიკას არ ერიდება და ოპოზიციის ხმა ისმის, თუმცა ამასთან აუცილებელია, რომ ჟურნალისტების როლი კიდევ უფრო გამოიკვეთოს: გამოჩნდეს, რომ ისინი მხოლოდ ოპოზიციონერთა განცხადებებს არ ეფუძნებიან და ფაქტების გადამოწმებას, ახალი თემების მიგნებასა და მასალების გამდიდრებას ცდილობენ.





რადიო „პალიტრა“

რადიო „პალიტრის“ საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ გაშუქებულიყო არა მარტო ცენტრალური, არამედ რეგიონების სიახლეები და პრობლემები, მაგრამ ის ამ შესაძლებლობას ნაკლებად იყენებდა. დღის მთავარი ახალი ამბები აქტიურად შუქდებოდა, თუმცა გადაცემებში ჟურნალისტების პროაქტიულობა ნაკლებად ჩანდა და არც ექსკლუზიური თემები გაშუქებულა. წინა წლების მსგავსად, საინფორმაციო გამოშვებები, ძირითადად, დაბალანსებული იყო და მოვლენები მიუკერძოებლად შუქდებოდა.

მონიტორინგის სუბიექტებს 15 საათი და 34 წუთი დაეთმოთ. ამ დროის უმეტესი წილი მთავრობის (30%) და „ქართული ოცნების“ (27%) გაშუქებაზე მოდიოდა. სუბიექტებს, მათ შორის პრეზიდენტობის კანდიდატებს, პირდაპირი საუბრის თანაბარი შესაძლებლობა ეძლეოდათ (დროის, საშუალოდ, 30%). პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ხუთ წუთზე მეტი დრო მხოლოდ ოთხს - სალომე ზურაბიშვილს (39 წთ.), დავით ბაქრაძეს (14 წთ.), გრიგოლ ვაშაძეს (10 წთ.) და დავით უსუფაშვილს (5 წთ.) დაეთმოთ. რადიომაუწყებელი წინასაარჩევნო კამპანიას ზედაპირულად აშუქებდა. მსმენელი, ძირითადად, კანდიდატების განცხადებებს ისმენდა. ჟურნალისტები დამატებითი ინფორმაციის მოძიებას, ფაქტების გადამოწმებასა და პოლიტიკოსებისთვის მწვავე კითხვების დასმას ნაკლებად ცდილობდნენ.

ჟურნალისტები ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ. თუმცა, ექსკლუზიური მასალები, რეგიონებისა და სხვადასხვა უმცირესობების თემატიკაზე ყურადღების გამახვილება გადაცემებს უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს გახდიდა.





რადიო „იმედი“

რადიო „იმედი“ პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა, თუმცა ახალ ამბებში ნაკლებად ხვდებოდა სოციალური თემები, რეგიონების სიახლეები და პრობლემები. გადაცემებში ახალი ამბები, ძირითადად, მიუკერძოებლად შუქდებოდა, თუმცა ზოგ

შემთხვევებში ბალანსი მმართველი გუნდის სასარგებლოდ იხრებოდა. ჟურნალისტები კრიტიკულ კითხვებს არ სვამდნენ და დამატებითი ინფორმაციის მოძიებასაც ნაკლებად ცდილობდნენ.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 8 საათი და 52 წუთი დაუთმო. ამ დროის ნახევარზე მეტი მთავრობისა (35%) და „ქართული ოცნების“ (28%) გაშუქებაზე მოდიოდა. ოპოზიციური პარტიებიდან მხოლოდ „ევროპული საქართველო“ (9%) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (4%) გაშუქდნენ. წინა წლებთან შედარებით, მოიმატა როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების პირდაპირი საუბრის წილმა (საშუალოდ, 50%). თუმცა, ზოგ შემთხვევებში ჭირდა რესპონდენტების იდენტიფიცირება, რადგან ჟურნალისტი მათ ვინაობას არ ასახელებდა. შესაბამისად, მათთვის დათმობილი დროის დათვლა ვერ მოხერხდა.

წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას არხი კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრების და პოლიტიკოსების ზოგადი ხასიათის განცხადებების გაჟღერებით შემოიფარგლებოდა. პრეზიდენტობის კანდიდატებს ჯამში 51 წუთი დაეთმოთ. „იმედმა“ აქტიურად გააშუქა ოპოზიციური პარტიების გაერთიანება „ძალა ერთობაშიას“ მიერ ცესკოში წარდგენილი მხარდამჭერთა სიების სავარაუდო გაყალბებასთან დაკავშირებული ფაქტი, რის გამოც მათ პრეზიდენტობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს უარყოფით ტონში გაშუქების 14% დაუგროვდა.

რადიომაუწყებელზე დაფიქსირდა ცალკეული სიუჟეტები, სადაც ბალანსი ხელისუფლების სასარგებლოდ ირღვეოდა: 27 ივლისის გადაცემაში საკრებულოს სხდომაზე „ერთიან ნაციონალურ მორაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის არსებული დაპირისპირების გაშუქებისას ჟურნალისტმა მსმენელს მხოლოდ უმრავლესობის პოზიცია გააცნო. ამასთან, ზოგიერთი აქტუალური თემა (მაგალითად, მაჩალიკაშვილის აქცია პანკისში), რომელიც ხელისუფლებას კრიტიკულად წარმოაჩენდა, არ გაშუქდა.

რადიო „იმედის“ მთავარ გამოწვევად კვლავაც ჟურნალისტების მეტი პროაქტიულობა და პოლიტიკოსთა განცხადებების მიმართ მეტი სკეპტიციზმის გამოჩენა რჩება, ასევე ისეთი თემების გაშუქება, რომლებზეც პოლიტიკოსები პრესკონფერენციებზე არ საუბრობენ. ეს გადაცემებს უფრო მრავალფეროვანსა და ინფორმაციულს გახდიდა.





რადიო „თავისუფლება“

რადიო „თავისუფლება“ დღის მთავარ ამბებს მოკლედ აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებების დროის უმეტესი ნაწილი რეგიონებში მიმდინარე პროცესებსა და პრობლემებზე მომზადებულ სიუჟეტებს ეთმობოდა. ჟურნალისტები სვამდნენ კრიტიკულ კითხვებს, ისმოდა ადგილობრივი ხელისუფლების კრიტიკა. რადიომაუწყებლი ისეთ

აქტუალურ თემებს (სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, სოციალური საკითხები) აშუქებდა, რომლებიც სხვა რადიომაუწყებლების ეთერში არ ხვდებოდა.

რადიო „თავისუფლებამ“ მონიტორინგის სუბიექტებს 14 საათი და 51 წუთი დაუთმო. აქედან 27-27% მთავრობა და ადგილობრივი მთავრობა გაშუქდნენ, ხოლო დროის 19% „ქართულ ოცნებას“ დაეთმო. სუბიექტებისთვის დათმობილი დროის, საშუალოდ, 80% ირიბ საუბარზე მოდიოდა.

„თავისუფლებამ“ წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებას, წინა წლების მსგავსად, შედარებით ნაკლები დრო დაუთმო. უმეტესად ამომრჩეველთან შეხვედრები შუქდებოდა. პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის დათმობილი დაახლოებით ერთი საათიდან 23 წუთი სალომე ზურაბიშვილზე ისაუბრეს: ეთერში, ძირითადად, მის მიერ გაკეთებულ განცხადებებზე ოპონენტების და „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების კომენტარები ისმოდა.

28 სექტემბერს და შემდგომ დღეებშიც მაუწყებელმა რამდენიმე სიუჟეტი მოამზადა იმის თაობაზე სცდებოდა თუ არა პრეზიდენტობის კანდიდატების დაპირებები მომავალი პრეზიდენტის უფლებამოსილებას. თუმცა, კონკრეტულად ვინ იძლეოდა მსგავს დაპირებებს ჟურნალისტებს არ უთქვამთ.

გამოვლინდა საეთერო დროის არარაციონალურად გამოყენების შემთხვევები: საინფორმაციო გამოშვებებში ხშირად განმეორებით გადიოდა არაპოლიტიკურ თემებზე მომზადებული 4-6 წუთიანი სიუჟეტები. უმჯობესი იქნებოდა, რადიომაუწყებელს ეს დრო, განსაკუთრებით არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად, საარჩევნო თემატიკისთვის დაეთმო და მსმენელებისთვის პრეზიდენტობის კანდიდატების რეალური თუ არარეალური დაპირებების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებინა, რაც ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა.





რადიო „აფხაზეთის ხმა“

„აფხაზეთის ხმის“ მცირექრონომეტრაჟიან გამოშვებებში რამდენიმე მთავარ ახალ ამბავს მოკლედ და მშრალად გადმოსცემდნენ. რადიომაუწყებელი არც ერთი პოლიტიკური სუბიექტის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა, თუმცა

მოვლენების ზედაპირული გაშუქება მსმენელს კონკრეტულ საკითხებზე ამომწურავი ინფორმაციის მიღების საშუალებას არ აძლევდა.

რადიოარხმა მონიტორინგის სუბიექტებს საათი და 52 წუთი დაუთმო. ამ დროის 100% ირიბ გაშუქებაზე მოდოდა - ჟურნალისტი პოლიტიკოსთა განცხადებებს თავად ციტირებდა. წამყვანის ტექსტი და ციტატები უმეტესად ნეიტრალური იყო. ყველაზე მეტს მთავრობასა (37%) და „ქართულ ოცნებაზე“ (30%) საუბრობდნენ.

ახალ ამბებში ბალანსი, ძირითადად, დაცული იყო, ისმოდა როგორც ხელისუფლების, ასევე ოპოზიციის კომენტარები. მაუწყებლის ეთერში წინასაარჩევნო კამპანია თითქმის არ გაშუქებულა. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან მხოლოდ სალომე ზურაბიშვილს და დავით ბაქრაძეს დაეთმოთ 3-3 წუთი.

გასული წლის მონიტორინგის მსგავსად, არხის მთავარ პრობლემად მრავალფეროვანი მასალების სიმცირე, ჟურნალისტების ნაკლები პროაქტიულობა და მოვლენების ზედაპირული გაშუქება რჩება.





რადიო „ჰერეთი“ (ქ. ლაგოდეხი/თბილისი)

რადიო „ჰერეთი“ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აქტიურად აშუქებდა. საინფორმაციო გამოშვებებში უფრო მეტი ყურადღება რეგიონში განვითარებულ მოვლენებს ექცეოდა. ჟურნალისტები არ ერიდებოდნენ კონკრეტული პრობლემის წამოწევას და საკითხს მრავალმხრივ აშუქებდნენ, კრიტიკულ კითხვებსაც სვამდნენ და რესპონდენტთა განცხადებების გადამოწმებასაც ცდილობდნენ. მაგრამ, წინა წლების მსგავსად, წინასაარჩევნო კამპანიის მშრალი გაშუქება პრობლემად დარჩა.

რადიომაუწყებელმა მონიტორინგის სუბიექტებს 8 საათი და 17 წუთი დაუთმო. აქედან 29% მთავრობის საქმიანობა შუქდებოდა, ხოლო 24% - „ქართული ოცნება“. მთლიანი დროის 7-7% „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ევროპულ საქართველოს“ დაეთმოთ. სექტემბერ-ოქტომბერში მოიმატა პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქებამ, მათთვის დათმობილმა დრომ საათი და 13 წუთი შეადგინა. სუბიექტებს დროის, საშუალოდ, 50% პირდაპირი საუბრისთვის დაეთმოთ, ხოლო დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა.

ჟურნალისტები ადგილობრივ პრობლემებს აქტიურად აშუქებდნენ. ისინი ექსკლუზიურ სიუჟეტებსაც ამზადებდნენ. ხშირად შუქდებოდა ინფრასტრუქტურული და სხვადასხვა სოციალური პრობლემები. რადიომაუწყებელი ყურადღებას კონკრეტულ პრობლემებზე ამახვილებდა და ცდილობდა მათ შესახებ პასუხისმგებელი პირების პოზიციები წარმოეჩინა. 25 ივნისის გადაცემაში მომზადდა სიუჟეტი, რომელშიც მოსახლეობისა და არასამთავრობო სექტორის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა იყო შეფასებული და ადგილობრივი ხელისუფლების პოზიციაც იყო ნაჩვენები.

რადიომაუწყებელი მიუკერძოებლად და ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტების დაცვით მუშაობდა. თუმცა, წინასაარჩევნო კამპანიისა და პოლიტიკოსთა დაპირებების ზედაპირული გაშუქება კვლავაც პრობლემად დარჩა.





რადიო „ათინათი“ (ქ. ზუგდიდი)

რადიო „ათინათი“, მეტწილად, სამეგრელოში მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა. ახალი ამბები მოკლე და ზედაპირული იყო. ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური გუნდის

მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდნენ, მაგრამ მოვლენები სიღრმისეული ანალიზის გარეშე შუქდებოდა. რადიომაუწყებლის ეთერში არ ისმოდა კრიტიკული კითხვები.

მონიტორინგის სუბიექტებს ჯამში 4 საათი და 35 წუთი დაეთმოთ. ამ დროის 37% მთავრობის, ხოლო 20-20% ადგილობრივი მთავრობისა და „ქართული ოცნების“ გაშუქებაზე მოდიოდა. სუბიექტებზე, ძირითადად, სხვები საუბრობდნენ. დროის, საშუალოდ, 65% ირიბ გაშუქებას ეთმობოდა.

„ათინათი“ პრეზიდენტობის კანდიდატებს, ძირითადად, რეგიონში მათი აქტივობების შესაბამისად აშუქებდა. ჟურნალისტები მსმენელს კანდიდატების საარჩევნო დაპირებებს აცნობდნენ, თუმცა რამდენად შეეძლოთ გაცემული დაპირების შესრულება და ზოგადად სცდებოდა თუ არა ესა თუ ის დაპირება პრეზიდენტის უფლებამოსილებას, ჟურნალისტები ამ თემით არ დაინტერესებულან. კანდიდატების გაშუქებას ჯამში 20 წუთი დაეთმო, აქედან 4-4 წუთი დაუგროვდათ გრიგოლ ვაშაძეს, სალომე ზურაბიშვილს და დავით უსუფაშვილს.

ახალ ამბებში ბალანსი დაცული იყო. ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ და რომელიმე სუბიექტის მიმართ მიკერძოებული გაშუქების შემთხვევა არ გამოვლენილა. თუმცა, მოვლენების ზედაპირული გაშუქება კვლავაც პრობლემად დარჩა. რადიომაუწყებლის ეთერში მწვავე სოციალური თემები და რეგიონში არსებული პრობლემებიც ნაკლებად განიხილებოდა.





რადიო „აჭარა“ (ქ. ბათუმი, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი)

რადიო „აჭარის“ საინფორმაციო გამოშვებებში ცენტრალური და აჭარის რეგიონში მიმდინარე ახალი ამბები მოკლედ და ზედაპირულად შუქდებოდა. შესაბამისად, გამოშვებების მთავარი პრობლემა სიღრმისეული სიუჟეტების ნაკლებობა იყო. წინა

წლებისგან განსხვავებით, მმართველი გუნდის დადებითად გაშუქების ტენდენცია შემცირდა, თუმცა პოზიტიური მაჩვენებელი ამჯერადაც მაღალია, რადგან ჟურნალისტები ხელისუფლების მიმართ მწვავე კითხვებს ნაკლებად სვამდნენ.

რადიო „აჭარამ“ მონიტორინგის სუბიექტებს 12 საათი დაუთმო. მთლიანი დროის 23% მთავრობის გაშუქებას დაეთმო, 19% - „ქართულ ოცნებას“, ხოლო ჯამში 31% ადგილობრივ მთავრობასა და აჭარის მთავრობას. სუბიექტებისთვის დათმობილი დროიდან პირდაპირ საუბარზე, საშუალოდ, 30% მოდიოდა. ხშირად რთული იყო რესპონდენტის იდენტიფიცირება, რადგან წამყვანი მათ ვინაობას არ ასახელებდა, ამის გამო ბევრი სუბიექტის პირდაპირი საუბრის დროის დათვლა ვერ მოხერხდა.

რადიომაუწყებელი პრეზიდენტობის კანდიდატებს რეგიონში მათი აქტივობების შესაბამისად აშუქებდა. დრო, ძირითადად, მოსახლეობასთან შეხვედრებზე გაცემულ დაპირებებს ეთმობოდა, თუმცა ჟურნალისტები მათ დამატებით კითხვებს არ უსვამდნენ. კანდიდატებისთვის დათმობილი დროიდან (30 წთ.) 17 წუთი სალომე ზურაბიშვილი გაშუქდა. ეთერში ვერ მოხვდა სალომე ზურაბიშვილის მიერ აგვისტოს ომის დაწყების თაობაზე გაკეთებული განცხადება და, შესაბამისად, მსმენელს არც ოპონენტების კრიტიკული შეფასებების მოსმენის საშუალება მიეცა. ამიტომაც, სალომე ზურაბიშვილს დროის მნშვნელოვანი ნაწილი დადებით ტონში დაეთმო.

რადიომაუწყებელის ეთერში მოკლე ახალი ამბები დაბალანსებულად გადიოდა. ხშირად შუქდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემები, თუმცა ეს საკმარისი არ არის, რადგან საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ის დასვამს კრიტიკულ კითხვებს, გააშუქებს ისეთ თემებს და პრობლემებს, რომლებიც კერძო რადიომაუწყებლების ეთერში შეიძლება არ მოხვდეს.





დასკვნა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რადიომაუწყებლები პოლიტიკურ მოვლენებს აქტიურად აშუქებდნენ, თუმცა წინასაარჩევნო კამპანიას ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

წინა წლებთან შედარებით, ახალი ამბების დაბალანსების კუთხით, გაუმჯობესება იგრძნობოდა. რადიომაუწყებლების უმეტესობა რომელიმე პოლიტიკური გუნდის მიმართ

მკვეთარდ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ ავლენდა, ჟურნალისტები სუბიექტურ შეფასებებს არ აკეთებდნენ, თუმცა რჩება საკითხები, რომელთა მოგვარების გარეშეც რადიომაუწყებლები მოსახლეობის ინფორმირებულ არჩევანს ხელს ნაკლებად შეუწყობენ.

რადიომაუწყებლების ნაწილი ხელისუფლების მწვავე კრიტიკასაც არ ერიდებოდა და სიუჟეტებში სხვადასხვა მხარეების პოზიციებიც გვხვდებოდა, მაგრამ მათი უმეტესობა რესპონდენტთა განცხადებების გადამოწმებას არ ცდილობდა. ეთერში მხოლოდ პოლიტიკოსთა ურთიერთსაპირისპირო კომენტარები ისმოდა და არ ჩანდა ჟურნალისტის როლი, რომ კრიტიკა მის მიერ მოპოვებულ ფაქტობრივ მასალებს დაფუძნებოდა და არა ოპოზიციონერთა ზოგად შეფასებებს.

მიუხედავად იმისა, რომ რადიომაუწყებლები ექსკლუზიურ კონტენტს ვერ ქმნიან და მათ ეთერში ერთი და იგივე თემები ტრიალებს, ზოგჯერ არხები მოვლენებს სხვადასხვა კუთხით აშუქებდნენ. ეთერში ისმოდა როგორც ხელისუფლების კრიტიკა, ასევე მათაც ეძლეოდათ საკუთარ მიღწევებზე საუბრის საშუალება. თუმცა, მსმენელს მაინც სხვადასხვა რადიოარხის მოსმენა მოუწევს, რომ დაბალანსებული და მრავალმხრივი ინფორმაცია მიიღოს.